ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 316

« 15 » აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილ პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2008 წლის 22 აგვისტოს №112 ოქმით გათვალისწინებული ვალდებულების ცვლილების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127² მუხლის მე-2 პუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თხოვნა და „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილ პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2008 წლის 22 აგვისტოს №112 ოქმით გათვალისწინებული ვალდებულების ცვლილების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 19 ივლისის №26.18.527 განკარგულების შესაბამისად, შეიცვალოს დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2008 წლის 22 აგვისტოს №112 ოქმის (ხელშეკრულების) „გ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ფიტნეს დარბაზის (7X10მ.მ) მშენებლობა;".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი